მაგრამ დღესაც აფრიკა ჯერ კიდევ ერთ-ერთი ძირითადი რაიონია, სადაც იმპერიალისტური სახელმწიფოები ახდენენ კაპიტალს, ეს არის აფრიკელი მუშების ხელით მოპოვებული იაფი ნედლეულის მიმწოდებელი და, მაშასადამე, დასავლეთის განვითარებულ სახელმწიფოთა ექსპლოატაციის ობიექტი. იმპერიალისტებისათვის აფრიკა უწინარეს ყოვლისა არის კონკურს ალმასები. და უოაი, ზამბიის ალკენები, ბაჰარისა და ნიგერიის ნავთობი, ეს არის რაკეტების ბაზები, სამხედრო ხომალდთა ნავსადგურები, რეაქტიული ბომბდამშენთა აეროდრომები.

მიმდინარე წლის ამბებმა ცხადყვეს, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები არაფერს არ მოერიდებიან, რათა შეინარჩუნონ თავიანთი პოზიციები აფრიკაში, შეაფერხონ პროგრესი ამ კონტინენტზე. გადატრიალებათა მოწყობა და კონსერვატიულ ძალთა განწყობილ სამხედრო პირთა მხარდაჭერა, მარიონეტული რეჟიმების შექმნა, რაკეტული სახელმწიფოთშორისი კავშირების შეკვეთა და მისწრაფება გათოშონ, შეასუსტონ უკვე არსებული სახელმწიფოები — ასეთია იმ მეთოდების არასრული სია, რომლებსაც ახლა იმპერიალისტები იყენებენ აფრიკის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ.

მაგრამ ახლა აფრიკა სულ სხვაა, ვიდრე ამ ცოტა ხნის წინათ იყო. იგი ხედავს და იცის, რომ სწორედ შეერთებული შტატები და მათი პარტნიორების გამო, ჯერ კიდევ არსებობს აფრიკაში კოლონიური სამფლობელონი, ჰაავის საერთაშორისო სასამართლოს სამარცხვინო გადაწყვეტილება, რომელიც ფაქტიურად დაეთანხმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის უკანონო okupაციას, ლონდონის უმოქმედობა იან სმიტის რეჟიმის მიმართ, დასავლეთ გერმანიის იარაღი, რომელთაც პორტუგალიელი დამჭერები ხოცავენ ანგოლის, მოზამბიკისა და „პორტუგალიის“ გვინეის პატრიოტებს, — ყოველივე ეს ერთი დანაშაულებრივი ჯაჭვის რგოლებია, რომლის დახმარებით იმპერიალისტები ამაოდ ცდილობენ ჩაახშონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აფრიკაში.

ამრიგად თვით ცხოვრება, თვით ისტორიის მსვლელობა აიძულებს აფრიკას გამოიტანოს მთავარი დასკვნა, გამონახოს თავისი პრობლემების გადაჭრის საშუალებანი. თავისუფალი აფრიკის მთავარი მტერია იმპერიალიზმი. იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა აფრიკის ხალხთა მთავარი ამოცანაა თანამედროვე ეტაპზეც.

აი რატომ არის, რომ 1 დეკემბერს შავი კონტინენტის ქვეყნების თავშავსლებამ 1958 წლიდან პირველად აღნიშნავს „აფრიკის დღეს“, რომელიც ეწყობა აზია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის მუდმივი ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით. ეს დღე ეწყობა ლოზუნგით: „იმპერიალისტების წეთრიერთ აფრიკიდან!“ (საკდესი).

ბათუმის პროდუქცია აფრიკის ქვეყნებს

ბათუმი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ტანკერი „ქარაკუმ-კანალი“ ბათუმის წავსადგურიდან ღია ზღვაში გავიდა და გეზი აილო დასავლეთისაკენ. მას არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში მიაქვს ოთხი ათასი ტონა დიზელის სათბობი და ნავთი.

„ქარაკუმ-კანალი“ ერთ-ერთი საბჭოთა ჩასასხმელი გემთმაგანია, რომლებიც რეგულარულად დადიან აფრიკის ქვეყნების ნავსადგურებში.

აფრიკის ქვეყნებს ბათუმის საწარმოები სისტემატურად უგზავნიან ჩასასხმელი გემთმაგანია, რომლებიც ახორციელებენ სამხედრო შეკვეთებს, კერძოდ შეკვეთებს, ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარებისათვის, მაგალითად, კვლავ აიწია საავიაციო და ელექტრონული მრეწველობის კომპანიათა აქციების ფასმა.

ზარბაზნები კარაქის ნაცვლად

ოსლო. (ტელეხის შტაბი). 30 ნოემბერი. (საკ. კორ.). გუშინ აქ პრეს-კონფერენციაზე პრემიერ-მინისტრმა გამოაცხადა, რომ განკარგულება გაეცა ბიუჯეტით გათვალისწინებული ფედერაციული ხარჯები შეამცირონ 5,3 მილიარდი დოლარით, მათ შორის არასამხედრო ხარჯები — 3 მილიარდი დოლარით. ეს „ეკონომია“, რომელიც გამოწვეულია ვიეტნამის ომის მზარდი ხარჯებით, უკვე ზედ მეტად შეეხება ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროებს, აგრეთვე ტრანსპორტისა და მიწათმოქმედების სამინისტროებს.

ჯონსონი იძულებულია 1,1 მილიარდი დოლარით შეამციროს გზატკეცილების მშენებლობის სახელმწიფოში. სამინისტო მშენებლობისა და ქალაქთა განვითარების სამინისტროს ბიუჯეტი იკლებება 1 მილიარდი დოლარით, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ბიუჯეტი — 330 მილიონი დოლარით, მიწათმოქმედების სამინისტროს პროგრამები —400 მილიონი დოლარით. ჯონსონმა განაცხადა, რომ ჯერჯერობით არ მიუღია ყველა გადარეობის ჯარების შტაბების უფროსებისაგან მოთხოვნები მომავალი საბიუჯეტო წლისათვის. და განაცხადები ბომბების ასაგნებებზე ვიეტნამის ომისათვის, ამიტომ ეერავერს იტყვის სახელმწიფოში გადასახადების გადიდების პერსპექტივების შესახებ.

ჯონსონმა გააცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკა განიცდის სიძნელეებს, რომლებიც „აფერხებენ“ მის განვითარებას. ამჟამად ინფლაცია ამერიკის შეერთებულ შტატებში მან დაახასიათა როგორც „უსასტიკესი ტკეპნა“, რომელიც მხრებზე აწვება უწინარეს ყოვლისა ღარიბებსა და მოხუცებს, ადგილად საშუალო ოჯახებს, — თქვა მან, — ასუსტებს ამერიკის მრეწველობის კონკურენციის ძალას“.

კონგრესის არჩევნების წინ ჯონსონმა თავი შეიკავა ინფლაციის პრობლემის განხილვისაგან პოლიტიკური პარტიული მოსაზრებებით, სცადა კიდევაც უარეყო რესპუბლიკური პარტიის განცხადება, რომ ინფლაცია ფართოვდება. ამჟამად პრეზიდენტი ინფლაციის ტენდენციებს იყენებს იმისათვის, რომ გაამართლოს თავისი მთავრობის სამოქალაქო ხარჯების შემცირება.

ნიუ-იორკის ბირჟაზე კვლავ დაეცა აქციათა კურსი

ნიუ-იორკი, 30 ნოემბერი. საკდესის კორესპონდენტი ი. აბლამოვი იუწყება:

ნიუ-იორკის საფონდო ბირჟა კვლავ ნერვიულად ეხმაურება მზარდ სიძნელეებს ამერიკის ეკონომიკის მთელ რიგ დარგებში. ერთგვარი შეთანხმების შემდეგ გუშინწინ და გუშინ ბირჟაზე კვლავ მნიშვნელოვნად დაეცა სამრეწველო კომპანიათა აქციების კურსი. დოუ-ჯონსის ინდექსის თანახმად, თუ გუშინწინ სამრეწველო კომპანიების აქციათა კურსმა დაიკლო 2,1 პუნქტით, გუშინ ნაშუადღევის 2 საათისთვის ადგილობრივი დროით იგი დაეცა კიდევ 5,5 პუნქტით.

ისე როგორც წინა დღეებში, უყველაზე მეტად დაეცა საავტომობილო მრეწველობის კომპანიების აქციათა ფასი, სადაც გრძელდება წარმოების შეკვეცა.

როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ აღნიშნავს, საავტომობილო მრეწველობაში წარმოების შემცირება სიძნელეებს უქმნის მეტალურგიულ მრეწველობას.

თანახმად მონაცემებისა, რომლებიც მოპყავს გაზეთ „უოლ-სტრიტ ჯორნელს“, სამინიმო მშენებლობის საერთო მოცულობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ღირებულებით გამოხატულებით 1966 წლის პირველი 10 თვის განმავლობაში შემცირდა 18 პროცენტით, გაუსვლა წლის ამავე პერიოდთან შედარებით.

საავტომობილო და ფოლადსადნობ მრეწველობასა და სამინიმო მშენებლობაში შექმნილი მდგომარეობა, როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ ამბობს, იყო მთავარი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია „მერყეობა“ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე.

მაგრამ, თუ სამოქალაქო წარმოების კომპანიებს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ხატოვანი გამოთქმით, ნიუ-იორკის ბირჟაზე „ცუდი ამინდი“ დაუდგათ, სამაგიეროდ მზე ბრწყინავს კომპანიებისათვის, რომლებიც ასრულებენ სამხედრო შეკვეთებს, კერძოდ შეკვეთებს, ვიეტნამში მოქმედი ამერიკის ჯარებისათვის, მაგალითად, კვლავ აიწია საავიაციო და ელექტრონული მრეწველობის კომპანიათა აქციების ფასმა.

◆

რეიტა ფარიას მფარველობა

დელი, 30 ნოემბერი. (საკდესი). „მის მსოფლიოს“ წოდების მოსაპოვებლად ლონდონში გამართული სილამაზის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვა ინდოელის წარმომადგენლმა რეიტა ფარიამ. „მის მსოფლიოს“ მყისვე შესთავაზეს მოეარა ამერიკის შეერთებული შტატების ბაზები სამხრეთ ვიეტნამსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნებში, რათა იქ ამერიკელ ჯარისკაცთა წინაშე გამოსულიყო.

მაგრამ ამ ტურნეს ორგანიზატორებს კოზმი ტალაბში ჩაუვარდათ. რეიტა ფარიამ მტკიცედ უარი თქვა გაერთო ამერიკელი ჯარისკაცები, რომლებიც ბარბაროსულ ომს აწარმოებენ ვიეტნამში.

ფლორენცია ამ დღეებში

იტალიელები მადლობას უთვლიან საბჭოთა კავშირს დახმარებისათვის

ფლორენცია. (ასა-ის კორ.). ფიეზოლეს მწვანე ბორცვების სიმაღლიდან ადამიანს ეჩვენება, რომ დიდებული სასახლეებისა და ტაძრების, აღორძინების ხანის დიდ ოსტატთა უკვდავი ქმნილებების ამ ქალაქში ჩვეულებრივი ცხოვრება მიმდინარეობს. არნოს ვიაზრო მოყვითლო ზოლი, რომელსაც ქალაქი ორად გაუკვეთია და უკეე წყალმცირე გამხდარა, არაფრით არ აშფოთებს მასში დაფარულ მრისხანე ძალას, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ გაარშემო სიკვდილსა და ნგრევას თესავდა.

მაგრამ მანქანა მიხვეულ-მოხვეული მოასფალტებული გზით დაბლა რომ ჩავა და პირველ განაპირა სახლებს გასცდება, ადამიანს თვალწინ ულმობელი სიცხადით გადაემეჯება მძიმედ დაჭრილი ქალაქის სურათი. ყველა სახლზე მეორე სართულის დონემდე გაუვლია ამბოხებულ სტიქიას ნაგობის ზოლი. ყველაფერი, რაც ამ ზოლს ქვემოთ არის — ბინები, მაღაზიები, ბარები, ტრატორიები, სახელოსნოები, — მთლად დანგრეულია, ლაფით ამოვსებულა... ტრატორიებთან მდგომი ათასობით მსუბუქი მანქანა ჯართად ქცეულა. გაივლი ერთ ქუჩას, მეორეს, მესამეს, და ყველგან წარმოგიდგება იგივე სურათი უბედურებისა, რომელმაც ერთ წუთში ლატაკად აქცია ათეული ათასობით ადამიანი. დაგრეხილი ფალუნის უკან, ერთ დროს ადარებული რომ ქრონდა მაღაზიების კაშკაშა ვიტრინებს, შავი სიცარიელეა. საიდანაც ახლაც გამოდის ჩონადი ტლეპოს ფართო ენები. ამ ტლაპოდან ადამიანებს რადაც საგნები ამოაქვთ, გუგუნებენ ბულდოზერები, სკრეპერები, ქუჩებს რომ წმენდენ.

არნოს ნაპირთან, სადაც გრანიტის დანგრეული სანაპირო და წაქცეული საკუთნოვანი ჭადრებია, მრავალი სამხედრო სატვირთო მანქანაა. გზაზე დგას სანიღბავფორმიანი ჯარისკაცი. ამას იქით უშვებენ მხოლოდ იმ მანქანებს, რომლებსაც სამში მასალები, პროდუქტები, მედიკამენტები მიაქვთ. ჯარისკაცი გვაფრთხილებს, რომ საჭიროა რეზინის ჩექმები ჩავიცვათ: ქალაქში დღესაც, წყალდიდობის შემდეგ მესამე კვირას, სხვა ფესსაცმლით ვერ გაივლი.

უბედურების შედეგები ცენტრალურ კვარტალებში კიდევ უფრო მძიმეა, ვიდრე განაპირა ქუჩებზე. თუმცა სწორედ აქ არის გადასარჩენი ჯარებისა და გაწმენდაზე მომუშავე მოსახლეობის მთავარი ძალები. დაზიანებული ავტომობილები აქ თითქმის არა ჩანს, ისინი მანქანების სასაფლაოზე გაუტანიათ.

ქალაქს არ ჰყოფნის წყალი, კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები. ხან აქ, ხან იქ რიგები დგება: უფასოდ არიგებენ რძესა და სხვა პროდუქტებს, წამლებს, როგორც ამ ქალაქში იტალიის და მთელი მსოფლიოს ყველა კუთხიდან იგზავნება.

აი განთქმული „პონტე ვეკიო“ (ძველი ხიდი), რომელზეც მოაჯირები გადაბრუნებულა და ხელოსანთა დუქნები დანგრეულა, ფლორენციის ბიბლიოთეკა, რომელშიც მისაღწევად მუხლამდე ლაფში მივალიგებულებთ. სტუდენტთა მწკრივი დილიდან საღამომდე გადასცემს ბიბლიოთეკის საცავებიდან საბარგო მანქანებზე იმას, რაც წიგნებიდან დარჩენილა — უძვირფასეს გამოცემებს, რომელთა ხსოვნასაც საუკუნეებით ანგარიშობენ და რომლებიც იტალიის სიამაყეს შეადგენენ.

ფლორენციის მარმარილოს სასწაული—მოედანი სანტა მარია დელ ფიორეს ტაძრის წინ. ტაძრიდან მუშები ლაფს ტუმბავენ — იქ ბისელა შეუღლებელია. ტაძრის პირდაპირ მდებარე ბაპტისტერიუმი უკვე გაწმენდილია ლაფისაგან. მის წინ ადამიანები მდუმარედ დგანან: ბრინჯაოს კარი, რომელზეც ანდრეა პიზანოს ბარელიეფებია, გამსკდარა. მეორე კარზე, რომელიც შემკულია უკვდავი გიბერტის მიერ, ათი ბარელიეფიდან ხუთიდა დარჩენილა. კიდევ უფრო დაზიანებულა ფლორენციის მეორე ბაზილიკა —სანტა-კროჩე, რომელიც ინ რაიონში მდებარეობს, სადაც წყლის დონემ თითქმის ხუთ მეტრამდე აიწია.

ქალაქის გული სინიორიის მოედანია. თეთრი მარმარილოა ქანდაკებები, რომლებიც მას ამშვენებს, მათ შორის ბენვენუტო ჩელინისა და ჯანბოლონიის განთქმული ჯგუფები, არ დაზიანებულა. წყალდიდობას მხოლოდ მაღაზიები და ბარები დაუნგრევია, და იმ მოედანზე, სადაც ჩვეულებრივად გზას ვერ გაიკვლევდი შეუღწეველ ტურისტებში, კინოკამერებსა და ფოტოაპარატებს რომ აჩხაკუნებდნენ, ახლა უჩვეულო სიცარიელეა. ცენტრში დგას სამხედრო ავტოცისტერნა, რომელთანაც რიგში ჩამდგარან ფლორენციელები ვედროებით, ჭაჭებით ან პირდაპირ ბოთლებით, მაცოცხლებელი წყალი რომ აიღონ.

უფიციის განთქმული გალერეა დაბურულია გაურკვეველი ნაგვით. იქ ახლა ხელოვნების დაზიანებული ნაწარმოებების — სურათების, ქანდაკებების, აკვარელების რესტავრაციაზე მუშაობენ.

მუზეუმის თანამშრომელი ქალი, დოქტორი ფაუსტა პუჩი ცრემლებს ძლივს იკავებს, როცა გვიამბობს:

— სტატიამ მოუმზადებელს მოგვისწრო.

ათასობით ადამიანის წინაშე პურისა და ჭიქა წყლის პრობლემა დადგა. გაჩაგება, რაოდენ გვჭირდება ადამიანური სოლიდარობის ყოველი გამოვლინება, ყოველი დახმარება. ჩვენი გულითადი მადლობა გადაეცით საბჭოთა ადამიანებს. მათმა სოლიდარობამ განსაკუთრებით გვაოცა მაშინ, ვინაიდან ეს სოლიდარობა იმ ქვეყნიდან მოდის, რომლისადმი ჩვენი ადამიანები მუდამ გამსჭვალული არიან უაღრესად მეგობრული გრძნობებით.

ასეთივე გულთბილი მადლობის სიტყვები საბჭოთა ადამიანებისადმი, რომლებმაც იტალიაში წყალდიდობით დაზარალებულთა დახმარება გამოუგზავნეს, მოვისმინეთ შრომის პალატაშიც. ელზა მასაია, რომელიც ეს არის დაბრუნდა პიზიდან, სადაც იგი საბჭოთა თვითმფრინავებით ჩამოტანილ ტკბილეულს იბარებდა, მოკვითხრობს, რომ შრომის პალატამ შეიიმუშავა გეგმ



რუსთაველთა პირველი სპექტაკლი

მოსკოვი. 30 ნოემბერი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ ჩამოვიდა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დასი. მიუხედავად თოვლიანი და ცივი ამინდისა, ქართველი მსახიობების შესახედრად კურსკის ვაგზალზე მოვიდნენ მათი მოსკოველი კოლეგები, ლიტერატურისა და კულტურის მოღვაწენი, გაზეთების, რადიოს და ტელევიზიის წარმომადგენლები...

საღამოს სტუმრებმა კრემლის თეატრის სცენაზე წარმოადგინეს თავიანთი პირველი სპექტაკლი **„ვეფხისტყაოსანი“** (რეჟისორები ა. ჩხარტიშვილი და მ. თუმანიშვილი, მხატვარი ო. ლითანიშვილი).

სპექტაკლის დაწყების წინ ავანსცენაზე გამოვიდა მოსკოვის თეატრალური საზოგადოებრიობის დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ რსფსრ სახალხო არტისტები ე. სიმონოვი, ა. ზუევა, რსფსრ დამსახურებული არტისტები ი. ლიკსოვი, პ. ჩერნოვი. სტუმრებს მოსკოვის თეატრების სახელით მიესალმა მცირე თეატრის მთავარი რეჟისორი **ე. სიმონოვი.**

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა **ო. თაქთაქიშვილმა.**

რუსთაველთა პირველ სპექტაკლში თეატრის მთელი დასი მონაწილეობდა.

ხვალ, 1 დეკემბერს, მოსკოველები ნახავენ ქართველ მსახიობთა მეორე სპექტაკლს „მეფე ლირს“.

ლეგენდა რუსთაველზე

ონის სახალხო თეატრის სპექტაკლი თბილისში

ამ დღეებში, როცა შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრი მოსკოვშია საგასტროლოდ, თბილისში ამ თეატრის სცენაზე დედაქალაქის მაყურებლებს თავისი ახალი ნამუშევარი გააცნო **ონის სახალხო თეატრის კოლექტივმა,** რომელსაც უკვე რამდენიმე წელია დიდი სიყვარულითა და ენთუზიაზმით ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გიგა ჯაფარიძე.**

გუშინ და გუშინწინ ონის სახალხო თეატრის მსახიობებმა წარმოადგინეს დავით კასრაძის ორნაწილიანი დრამატულ-ჰეროიკული პოემა **„ლეგენდა რუსთაველზე“.** სპექტაკლის დამდგმელი, მხატვრული გაფორმების ავტორი და რუსთაველის როლის შემსრულებელია გ. ჯაფარიძე. სხვა მთავარ როლებს ასრულებდნენ მ. ჯაფარიძე, შ. ჯაფარიძე, მ. გავაშელი, მ. ბურდილაძე, ა. ბერიშვილი, ვ. ჯაფარიძე, ნ. დუშუაშვილი, გ. გობეჯიშვილი, ა. შიშილაშვილი, ლ. ბურდილაძე.

ონის სახალხო თეატრის ამავე სპექტაკლის მესამე წარმოდგენა დღეს გაიმართება.

ქართველი „ოტელო“ პარიზში

ცეკვის საერთაშორისო ფესტივალზე

პარიზი, 30 ნოემბერი. (საკდესი). ელისეს მინდვრების თეატრის მაყურებლები, სადაც ცეკვის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალი მიმდინარეობს, გუშინ გულთბილად მიესალმნენ საქართველოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის კოლექტივის გამოსვლას.

თბილისელმა მსახიობებმა აჩვენეს ა. მაჭავარიანის ბალეტი „ოტელო“. ოტელოს პარტია შეასრულა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ჭაბუკიანმა, რომლის დახვეწილმა ოსტატობამ არა ერთგზის დაიმსახურა ტაში. ქართველი სტუმრები პარიზელებს აჩვენებენ აგრეთვე დ. თორაძის ბალეტ „გორდას“.

თბილისის თეატრის კოლექტივის პირველ გამოსვლას დაესწრნენ პარიზში ოფიციალურ ვიზიტად მყოფი პაკისტანის პრეზიდენტი აიუბ ხანი, სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ვ. ა. ზორინი, საფრანგეთის თეატრალური საზოგადოებრიობის მრავალი წარმომადგენელი.

ცეკვის მეოთხე საერთაშორისო ფესტივალის მსვლელობაში, რომელიც 2 ნოემბერს დაიწყო, მაყურებლები გაეცვნენ კუბის ბალეტის ეროვნული ანსამბლის ხელოვნებას, მიუნჰენის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) ოპერის მოცეკვავეთა კოლექტივს, „საფრანგეთის დიდ კლასიკურ ბალეტს“ კლოდ ჭიროს ხელმძღვანელობით.

ფესტივალის დასასრულს ჟიური საუკეთესო სოლისტებსა და კოლექტივებს მიანიჭებს „ოქროს ვარსკვლავებს“, უმაღლეს ჯილდოებს, რომლებიც უკანასკნელი წლების განმავლობაში არა ერთგზის მიუნიჭებიათ საბჭოთა ბალეტის წარმომადგენლებისათვის.

სურათზე: შეხვედრა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მსახიობებთან კურსკის ვაგზლის პერონზე. საკდესის ფოტოქრონიკა (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

ტრადიცია გრძელდება

ბელ ჯორონიმა და იაპონელმა **ტომიჰირო ხირაიმ,** მესამე იყო ახალგაზრდა სპორტსმენი ვ. კარასევი — 9.65. შემდეგ იყვნენ: **ტ. კატო** და **ა. ნაკაიამა** — 9.60-9.60, **ხ. დიმიდოვი** — 9,55, **ტ. მიცუკური** — 9,45.

თუმცა ტაიპს ჩვეულებრივ კარგად ფლობენ იაპონელები, მაგრამ ამჯერად წარმატება სტუმრებს ხვდათ წილად. უცეთესი ქულები მოიპოვა **ჯორონინმა** — 9.8, შემდეგ **დიმიდოვმა** — 9.75, **მიცუკურიმ** და **კარასევმა** მიიღეს 9.6-9.6 ქულა, **ნაკაიამამ** — 9,5 და **კატომ** — 9,4 ქულა.

მხოლოდ რგოლებზე ვარჯიშში იყო საუკეთესო იაპონელი **ტანმოვარჯიშე აკინორი ნაკაიამა** — 9,85 ქულა. **ჯორონინი** მას ჩამორჩა ხუთი მეასედი ქულით. შემდეგ ადგილები დაიკავეს: **დიმიდოვმა** — 9,7, **კატომ** — 9,6, **მიცუკურიმ** — 9,55, **კარახევმა** — 9,5 ქულა.

პირად ჩათვლაში ლიდერობს **ჯორონინი** — 29.3 ქულა, მეორეზეა **დიმიდოვი** — 29.00, მესამეზე — **აკინორი ნაკაიამა** — 28.95. შემდეგ მოდიან: 4. **კარასევი** — 28,75, 5-6. **კატო** და **მიცუკური** — 28,6, 7. **კლიმენკო** — 28,35, 8. **კომისაროვი** — 28,25, 9. **ვატანაბე** — 28,2, 10. **უედა** — 27,85, 11. **ხირაი** — 27,6, 12. **ილინიხი** — 27,25 ქულა.

ქალები ჭიდაობენ დაბურთით ხტომებსა და ნაირსახეობებში ორმეულზე. ამ ორივე ვარჯიშში პირველი იყო **ნატაშა კუჩინსკაია,** რომელმაც 9,75 ქულა მიიღო ბრჯენით ხტომაში და 9,8 — ორმეულზე. ხტომაში მეორე შეიკუმშება დაიმსახურა **დრუჟინინამ** — 9.55. შემდეგ ადგილებზე იყვნენ იაპონელები **სიბუია** და **ტაძიმა** — 9.5-9.5. ნაირსახეობის ორმეულზე მეორე იყო **დრუჟინინა** — 9,75 მესამეზე — **სიბუია** — 9.7 ქულა.

პირად ჩათვლაში „**კუჩინსკაიას**“ აქვს 19,55 ქულა. **დრუჟინინას** — 19.3, შემდეგ არიან **სიბუია** — 19.2, **პეტრიკი** — 19.00, **ტაძიმა** — 18.95, **იამაგაში** — 18.9, **ჯანუაშვილი** — 18.85, **ხარლოვა** — 18.8, **იკედა** — 18,8, **ბერიკაშვილი** — 18.75 ქულა.

პირველი დღის შემდეგ საბჭოთა ჯგუფის ვიცია გუნდს აქვს 143.65 ქულა, იაპონიის გუნდს — 142.90, საბჭოთა ქალებს — 95,55, იაპონელ ქალებს — 94.65.

„ნეფტიანიკს“ — ბრინჯაოს მედალი

ჩემპიონატებზე ბრინჯაოს მედლებისათვის ბრძოლა ასე მწვავე არასდროს არ ყოფილა. ამ პრიზს რამდენიმე გუნდი ეცილებოდა ერთმანეთს. მათ რიგებს ჯერ ცსკა ჩამოშორდა, შემდეგ „ტორპედო“. დარჩნენ ბაქოს „ნეფტიანიკი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. სწორედ ამ ორა კოლექტივის შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა ვინ იქნებოდა მესამე პრიზიორი.

ეს მატჩი შედგა გუშინ ბაქოში. „ნეფტიანიკის“ მდგომარეობა გაცილებით უკეთესი იყო. მათ შეხვედრას თრიე დამთავრებაც კი ხელს უწყობდათ. სპარტაკელებს კი მხოლოდ გამარჯვებისათვის უნდა ეზრუნათ.

ბაქოელებმა თავიდანვე მაღალი ტემპი განავითარეს. ისინი მოქმედებდნენ ინიციატივიანად და ზედიზედ მიჰქონდათ იერიშები. ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს, მაღე მათ მეორე ბურთიც გაიტანეს. ორივე გოლის ავტორი იყო **ბანიანაური.** მეორე ნახევარში **ტუევისა** და **მარქაროვის** კომბინაცია უკანასკნელმა გოლით დაამთავრა.

გაიმარჯვა ბაქოს „ნეფტიანიკმა“ ანგარიშით 3:0 და პირველად გახდა ბრინჯაოს მედლის მფლობელი.

ფრე ქუთაისში

ი. დათუნაშვილი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი

„**ტორპედო**“ (ქუთაისი) — „**დინამო**“ (თბილისი) 3:3 (0:0). ქუთაისი, 30 ნოემბერი. ქალაქის ცენტრალური სტადიონი. მსაჯი — **ა. მენეშიკოვი** (მოსკოვი).

„**ტორპედო**“ — კვასხვაძე, ლოსაბერიძე, ებრალიძე, სიამაშვილი (ჩხაიძე). ძოძუაშვილი, ჭოლაძე, კუტივაძე, ასიტაშვილი, ხერხაძე, ხაჭალია, გ. ნოდია; „**დინამო**“ — კოტრიკაძე (ნარსია), გ. ხინკანავა, რეხვიაშვილი, შერგელაშვილი, პეტრიაშვილი, გ. სიჭინავა, ხართიშვილი, ბარქაია, მეტრეველი, იამანიძე, დათუნაშვილი.

მეშვიდეთათვის ეს შეხვედრა ჩემპიონატის უკანასკნელი ალორდი იყო, 36-ე მატჩი იყო.

პირველ ტაიმში ორივე ხარი აუღებელი დარჩა. მეორე ნახევარში კი ექვსი გოლი გაიტანეს. ანგარიში 50-ე წუთზე **ხაჭალიამ** გახსნა, 5 წუთის შემდეგ **მეტრეველის** მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებას **დათუნაშვილის** დარტყმა და გოლი მოჰყვა. მალე **ხაჭალიამ** ისევ წინ გაიყვანა „ტორპედო“, მაგრამ ისევ **დათუნაშვილმა** გაათანაბრა ანგარიში — 2:2.

65-ე წუთზე დაწინაურდნენ მასპინძლები (პირველი გაიტანა **ხერხაძემ**). ტიმაშის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე კი **დათუნაშვილმა** 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით წონასწორობა აღადგინა. საბოლოოდ ფრე — 3:3.

როგორც ვხედავთ, ამ მატჩში **ი. დათუნაშვილმა** სამი ბორი გაიტანა, ერთი გოლით გაუსწრო ლიდერს **ბიშვიდს** და 20 ბურთით ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

ქუთაისის სატრაქტორო ქარხნის საექსპერიმენტო-საკონსტრუქტორო განყოფილების მუშაკებმა შექმნეს ახალი მოდელის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორი „რიონი-10“. იგი თავისი წინამორბედისაგან იმით განსხვავდება, რომ მისი სიმძლავრე გაზრდილია 1.8 ცხენისძალით. სიჩქარე კი 7 კილომეტრიდან აყვანილია 12 კილომეტრამდე.

რიონი-10-ის ახალი მოდელი ფართო გამოყენებას ჰპოვებს სოფლის მეურნეობაში. მისი მეოხებით შეიძლება შესრულდეს ათი სახის სხვადასხვა სამუშაო.

ქარხნის კოლექტივი ახალი მანქანის სერიოზე გამოშვებას მომავალს წლის პირველი იანვრიდან შეუდგება. **სურათზე:** ტრაქტორ რიონი-10-ის ახალი მოდელი.

ფოტო ა. მაჭავარიანისა, (საქდესის ფოტოქრონიკა).

საძიძლოო თემა

მოთხრობა

უცერემონიოდ შეგიმუშნე, არ ველოდი ასეთ გესლიან შეხვედრას.

უცნობი ქალიშვილი ჯგუფს გამოეყო და ჩემკენ გამოემართა. შეწითლა ბიჭური ჩაცმულობა, ვიწრო შარვალი და სპორტული გიმნასტორკა, მოკლედ შეკრეჭილ შავ თმას ხვეული ჩამოშორებოდა. თმა ზოგჯერ მზემოკიდებულ ლამაზ შუბლზე ჩამოშლებოდა, ზოგჯერ თვალებზე ებლანდებოდა.

ქალიშვილს, როგორც ეტყობოდა, ვადაეწყვიტა გასართობად პატარა სცენა გაეთამაშებინა, რომლის მთავარი გმირი მე ვიქნებოდი. აშკარა იყო — მწყემსად მიმიღო. იგი დაჟინებით მაკვირდებოდა და ძებდა სუსტ ადგილს, საიდანაც იერიშს მოიტანდა.

გულახდილად რომ ვთქვათ, ერთბაშად მომეწონა. მეც ამომეჯანა, მწყემსად რომ მიმიღო, და მზად ვიყავი მზრდად, გაუღიზიანებლად ავყოლოდი მის ეჭვიპერიმენტებს.

— თქვენ მამია ხომ არ გჭირდათ?

— ასე რატომ ფიქრობთ?

— გუშინ მწყემსი ბიჭი გავიცანი, ვუთხარი, ისეთ საქმეს ვეძებ-მეთქი, რომელიც ახოვანად იქნება, მდიდარიც, აგრეთვე შესანიშნავი ცხენი ეყოლება. ნაბადი და თოფი ეჭნება. მითხრა, ასეთი ჩვენს ფერმაშია, იქი მთელი სოფლის თვალიაო. რატომღაც თქვენ მეგონით და კმაყოფილი დავრჩი.

ხმამაღლა ლაპარაკობდა, რომ სხვებსაც გაეგონათ.

— სამწუხაროდ, მე მამია არა ვარ.

— რა გაეწყობა, — მოიკვნეშითი სევდით აღსავსე თვალები მომაპყრო. — ცოლიანი ხართ? — დაუმატა ცოტა ხნის შემდეგ.

— ლია; რა უცნაური ახირება იცი, მოიშვი მაგ კაცს, — გადმოსძახა ერთ-ერთმა ვაჟმა.

ლიას მისთვის პასუხი არ მიუცია, რამდენიმე ნაბიჯით მომიახლოვდა. ეტყობოდა პირველ გაფაწყვეტებებზე ერთბაშად აიღო ხელი, თვალებში სიანცე ატარ უციაგებდა, მშვიდად. შემრიგებლურად მომმართა:

— იქნებ მართლაც გადავპარეთ. თუ ასეა, გთხოვთ მაპატიოთ.

— ღ. არა, პირიქით, გშვენით ასეთი გამომეყვანი სითამამე.

ჩემმა პირდაპირმა და სწრაფმა პასუხმა ცოტა არ იფოქა, გააკვირვა. როგორც ჩანს ფიქრობდა, რომ ეწა დამებმებოდა.

ორიოდე წუთიც, და შინაურულად გამესაუბრა. მკითხა, ხად იმყოფებოდა ჩვენი ფერმა. მოისურვა ჩემს ცხენზე სურათი გადაეღო. რაც უნდა გიმრეზე ჯდებოდა, ხელი შეგაშველე, ჩამოსვლის დროს ჩემს მხარს დაყრდნო...

არ მინდოდა ჩვენი გაცნობა უცვალოდ გამჭრალიყო, ამიტომ იყო, რომ მიპატიჟებაზე უარი არ მითქვამს. ლიამ გვერდით დამიყვა.

ისინი ჩემი ვინაობით დაინტერესდნენ. იძულებული გავხდი ტყუილი მეთქვა. თავი გავასაღე არმიიდან დემობილიზებულად.

სუფრაზე სიმღერები წამოიწყეს, ლიამ მთხოვა ავყოლოდი. აბა უარს როგორ ვეტყოდი. გული ისედაც მღეროდა, მით უფრო, რომ ცუდი ხმა როდი მაქვს.

— ყელის ჩასასველებელიაც რომ გვქონდეს, მოგეცეს ლხენა, შემოვძახებდით, — ინატრა ჩემს გვერდით მდგომმა.

— თუ ჯერ არ მიდიხართ, ამას მე მოვაგვარებ, — თავი გამოვდე.

გამეორება, რომ ისინი ერთ კვირას კიდევ დარჩებოდნენ...

გამოთხოვებისას ბილიკებამდე ჩამაცილეს. ლიამ მეგობრულად ხელი გამომიწოდა და თან მთხოვა მისთვის ცოტა კვარი მეშოვნა.

— აჰ, ტყეში კვარი ყოველ ნაბიჯზეა.

— აბა რა ვიცი, — სიცილით მხრები აიჩეჩა. — ჩვენს ბიჭებს ასფალტის მეტი არაფერი უნახავთ, ნამდვილი დოყლაპიები არიან, ისიც შენ თუ გვიხსნი.

სიამოვნებით გავუმძღვენე ჩემს თავს, რომ ლიას მცირედი ყურადღება უკვე მოვიპყარი. თუ კი ბოლომდე შევძლებდი თამაშის გაგრძელებას, უკვე წარმოდგენილი მქონდა, როგორ გაიკვირვებდა, თბილისში რომ ვხასხედი.

ჩვენებს ყველაფერი ვუამბე. თავიანთი მარგიდან ანაყი და რამდენიმე ბოთლი ღვინო დამითმეს. ბახმარონი რძის ჩასაბარებლად წასულ ბიჭებს დაცლილი ღვინის გუდა გავატანე.

მეორე დღეს როგორც კი ნახარი საძოვარზე გარეკეს და დილის საქმეები ჩაამთავრეს, გეოლოგებისაკენ გავემართე.

ლია მარტო დამხვდა. ნაძის ტოტებისაგან სახელდახელოდ გაკეთებულ კარავში დასახლებულიყო. მე რომ დამინახა, მხიარულად შემომეგება, კარგ დროს მოხვედითო, მითხრა. მჭლავებში დაეკაპწუნებინა, გამოცდილი დასახლებისთვის ტრიალებდა.

— აგრე თუ, შემომაწყრები, ვერაფერს გავაკეთებ, მოდი, მომეხმარე, ადრე მოვრჩებით.

საღილობამდე საკმაო დრო იყო დარჩენილი, მთებში წასულნი ჯერ არ დაბრუნდებოდნენ. საქმეს რომ მოვრჩით, ჩვენ ტყეში შევედით.

ლიას აღტაცება ეუფლებოდა, როცა კვარს თვითონ პოულობდა. მალე მთელი შეკვრა შეგვიგროვდა.

ხევისპირა ნაკადულთან დავისვენეთ.

ლია ლოგზე ჩამოჯდა, პაპარა კენჭები აკრიფა და ნაკადულის გაღმა სიკ ჭას დაუწყო სროლა. იგი რაღაცით კმაყოფილი იყო, არ ვიცი რატომ იღიმებოდა, ალბათ თავის თავს ესაუბრებოდა.

— ლია, უცხო მამკაცთან ასეთი ხანმარტოება ნუთუ არ გაშინებს? — დავკრძალე ხასმაყოფე დუმილი.

— აბა რას ამბობ, რატომ უნდა მეშინოდეს? — მხოლოდ წამით შემომხედა. უდარდელად გაიცინა და ისევ აკრიფა კენჭები.

მის გულიან კისკისს ნაძენარი გამოეხმაურა.

ამის შემდეგ ორჯერ კიყავი გეოლოგებთან. ერთხელ ლიას ძმა ჩამოვიდა. მშვიდ მზიან დილას ცხენებით ავედით ნაძის ტოტებით დაფარულ ბორცვზე. ლია ადრე ადგა, ჩემი ცხენიც ადრე შეაბარდა. ჩემს ფიქრებში ისე ჩაფლული ვიყავი, ვერც შევამჩნიე, როგორ მოიმარჯვა ლიამ ბინოკლი, ჩემი ცხენის ფეხებიდან ზევით ნელ-ნელა როგორ ამიყვანა თვალი, ბოლოს ჩემი სახე როგორ დაათვალიერა.

ბინოკლის ჩამოშორებისას ისე ვიყავი ჩაფიქრებული, რომ ვერც კი შევამჩნიე, ლიას ერთი ნაბიჯითაც არ მოეშორებინა. ისე შეგვეთვისე მის ცოცხალ, ხალისიან ხასიათს, მის ტკბილ ხმას, ალერსიან მოსუვნარ თვალებს, რომ ჩემთვის ყველაფერი სხვაგვარი ხდებოდა, როგორც ეს თვალთაგან მიმეფარებოდა.

მე შეკრული ლიას სახის ტილოზე გადატანა. ბიძაჩემმა მოიწონა არჩევანი.

დრო თანდათან იწურებოდა. უკმად არც ერთი დღე არ დამიკარგავს. სადილობო თემა უკვე შერჩეული მქონდა: მწვანედ მობინე ტაფობში ნაბირი შეფენილი (ასეთი ადგილი მედიდურად წამოჭიმული საყორნიას მთის გადაღმა აღმოვაჩინე), უკანა ფონზე მოჩანს ნაკადულებით დასერილი კლდოვანი ფერდობები, ფერდობის განაპირა კალთაზე ხეობაში თოვლის სქელი ფენა. ჩამოწოლილა, უფრო შორს, ბებერი შავი მთა ცის კიდურს მიბჯენია. ლიას გაცნობის შემდეგ გადავწყვიტე ესკიზი ოდნავ გადამეკეთებინა: ტაფობის ცენტრში, პატარა კუნძულივით ამოზიდულ შიშველ ლოდთან ქალიშვილი დგას, მას ვიწროტოტიანი შარვალი და სპორტული მაისური აცვია, ხელში სანადირო თოფი უჭირავს. ზეცაში არწივი დანავარდობს, ქალიშვილი მზად არის მტაცებელს თოფი ესროლოს, როგორც კი სამიზნე მანძილზე დამეშვება, იქვე ვეებერთელა ნაგაზი ჩაცუცქულა.

ესკიზი კომპოზიციურად ცუდად არ იყო გადაწყვეტილი. ტაფობთან ერთხელ კიდევ წავედი, რომ ფერები კარგად შემეხსომებინა. ატარობა. განსაკუთრებით მიმშიდველი მოჩანდა ჩამავალი მზის შუქზე.

ის იყო მუშაობას თავს ვანებებდი, რომ მოახლოებული ნაბიჯების ხმა მომესმა.

თავს ლია და ერთი გეოლოგი ვაჟი წამომდგომოდნენ.

მთელ ჩემს საიდუმლოს ერთბაშად ავხადა ფარდა.

ასეთი ფინალი ალბათ მათთვისაც მოულოდნელი იყო. ლიას გაკვირვება და კმაყოფილება ერთად გადაეფარა სახეზე.

— აი ეს მესმის, ყოჩაღ, მწყემსო! — სიტყვა „მწყემსი“ განსაკუთრებული ინტონაციით წარმოთქვა. ესკიზს თვალს ვერ ამორებდა. რა თქმა უნდა თავისი ორეული იცნო. ადგილი მოინაცვლა, რომ სურათი უკეთ წაეკითხა.

ვაჟი რატომღაც მოღუშული იდგა, რაც ცუდად მიენიშნა.

ერთი წუთითაც არ მინდოდა წარმომდგარა, რომ ლია სხვას ეკუთვნოდა. ეს ხომ მთელ ჩემს ოცნებას ბოლოს მოუღებდა.

— წავიდეთ, დამდება! — მძიმე დუმილი ვაჟმა დაარღვია.

— მომწონს, გისურვებ წარმატებას, — ლიამ ხელი გამომიწოდა და ფერდობზე სარბენით დაეშვა. — ხალა არ გვალოდინო, — ამომძახა ქვემოდან.

გეოლოგები მერე დღის საეჭსპედიციო მუშაობას ამთავრებდნენ, გამოსათხოვარი სალიო ერთად უნდა გადაგვეხადა. ღვინო წინასწარ მიეტანეთ.

— ვფიქრობ, კეთილთანხმიერებას გამოიწვევთ სადილზე სულაც არ მოსულიყო! — მითხრა გეოლოგმა ვაჟმა და თვითონაც ფერდობზე დაეშვა.

ლიას სქელი ფენა ჩამოწოლილა, უფრო შორს, ბებერი შავი მთა ცის კიდურს მიბჯენია.

მეორე დღეს გამოსათხოვარ სადილზე გეოლოგებთან არ წასულვარ. დარწმუნებული ვიყავი, რომ ბურუსი თბილისში გაიფანტებოდა.

მიხეილ გორგილაძე.

ჩა ვიცით, ჩა ვნახოთ

ტელევიზია

1 დეკემბერი

11.00 — კინონარკვევი. 11.20 — მხატვრული ფილმი „საბანგებო დავალება“ (ქართული ვარიანტი). 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — ბავშვებისათვის — „მოდი, ზღაპარო“ (გადმოცემა ლენინგრადიდან). 18.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ფიზკულტურა და სპორტი“ — ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 19.45 — გადაცემა „წიაღის მზვერავები“ (ყოლბიდის გეოლოგიური ექსპედიცია), 20.05 — ლიტერატურული გადაცემა — „ახალი წიგნები“, 20.30 — გადაცემა „ქართული ენის მოყვარეები“—მალვა გადეელიშვილი, 21.10 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.30 — პოლონური მხატვრული ფილმი „სამი ნაბიჯი დედამიწაზე“.

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. და 55 წ.

2 დეკემბერი

11.00 — კინონარკვევი. 11.20 — პოლონური მხატვრული ფილმი „სამი ნაბიჯი დედამიწაზე“. 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“. 18.40 — კინონარკვევი, 19.00 — გადაცემა „ღვაწლმოსილი მეცნიერი მათე მირიანაშვილი“, 19.20 — განცხადებები, 19.25 — კინონარკვევი, 19.35 — კონცერტი, 20.00 — ახალი ამბების ესტაფეტა (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.00 — ფილმი-ბალეტი „ელი — ანკარების ღელფალი“, 22.15 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 22.35 — გადაცემათა პროგრამა 3 დეკემბრისათვის, 22.40 — ეთერშია „ახალგაზრდობა“. „ორბიტა“ (გადმოცემა მოსკოვიდან).

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი ღიისით 12 საათიდან, სადამოს 17 ს. 45 წ.

თეატრები

1 დეკემბერი

სახელმწიფო ფილარმონიის — კარგი პარნასი იხურება, მოზარდ მაყურებელთა ქართული — „ძია ელიოზი“ (№ 33 აბონ. საღ. 6 ს.).

„დინამოს“ სტადიონი

ტელ. 5-21-62

1 დეკემბერს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა“ კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის

„**ტორპედო**“ მოსკოვი — „**პახტაკორი**“ ტაშკენტი

ძირითადი შემადგენლობანი.

თამაშის დასაწყისი 18 საათზე

ბილეთები გაიყიდება „დინამოს“ სტადიონის სალაროებში 1 დეკემბერს 10 საათიდან. შესვლებია 14-დან 15 საათამდე.

ი. ა. რამიშვილი



გარდაიცვალა სკკპ წევრი 1917 წლიდან პერსონალური პენსიონერი ილარიონ ანტონის-ძე რამიშვილი. ი. რამიშვილი დაიბა. 1890 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ერკეთში. 1914 წელს გაიწვიეს მეფის არმიაში, იქ ეშიარა რევოლუციური შეხვედრებს და მონაწილეობას იღებდა ჯარისკაცთა გამოსვლებში, რისთვისაც პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ თებერვლის რევოლუციამ გაათავისუფლა. ოჯახში დაბრუნების შემდეგ არალეგალურ პირობებში ასრულებდა პარტიის დავალებებს. მერე ვიკური მთავრობის წინააღმდეგ ჩოხატაურში 1919 წლის გამოსვლებში ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მუშაობდა მთელ რიგ პასუხსაგებ თანამდებობებზე. იყო ჩოხატაურის რაიონის ერკეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, სოფელ შუბნის კომეზურნეობის თავმჯდომარე, რაიონის მილიციის უფროსი, ჩოხატაურის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე. საგანგებო განყოფილების გამგე და სხვა თავდადებული და უშრომელი მუშაობისათვის მიღებული ჰქონდა მთავრობის მრავალი ჯილდო.

ი. რამიშვილის ხსოვნა ღიდხანს დარჩება მისი მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

რედაქტორი

დ. მგელაძე

კომუნისტი | თბილისი ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80 სამდივნოსი — 9-66-10 განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61 პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, ხოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58 ლიტერატურა-ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24 ილუსტრაციის — 3-28-54, განცხადებების — 3-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

კომუნისტი ИНДЕКС 66443 ЗЕ 06147

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.